

**საქართველოს პარლამენტის არსებული აუდიტორული  
სამშიანობის საბჭო**

**ინდივიდუალური აუდიტორი დაგით რობაქიძე**

ლიცენზია №. №159 (30.06.2000 წ.) მის: თბილისი, ვარკეთილი-3, II მერი-ნო, 15-87  
E-mail: [davidrobakidze1956@gmail.com](mailto:davidrobakidze1956@gmail.com) ტელ: 599 30 15 84; 2 79 84 40

№ 009/გ-1 ფ. ჩ.

27 იანვარი 2014 წ.

**აუდიტის დასპენა**

დემონტაჟის შედეგად ამოღებული მეორადი მასალების  
ღირებულების განსაზღვრის შესახებ

დამოუკიდებელმა აუდიტორმა (სერიისკატი ს. №6/114, 06.02.2012 წ.) ქ. თბილისი №103 საჯარო სკოლის ხელმძღვანელობის მომართვის და გაფორმებული ხელშეკრულების საფუძვლზე მოვახდინე აზნიშნული სკოლის ტერიტორიაზე განთავსებული შენობა-ნაგებობების (ინფრასტრუქტურის) დასტყვალივრება-შემოწმება, რომლის მიზნებიც შეადგენდა განმეობაზღვრა ტერიტორიაზე არსებული ინფრასტრუქტურის (მათ შორის სკოლის შენობის) დემონტაჟის შედეგად ამოღებული მეორადი საშენი მასალების საერთო საორიენტაციო სარგალიზაციო ღირებულება.

დასახული ამოცანის შესრულების მიზნით მოვახდინე შემდგომში დასაშლელად გათვალისწინებული შენობა-ნაგებობების ვაჭვალური დათვალიერება-შემოწმება, გავვცანი მათ შესახებ არსებულ დოკუმენტაციას და ჩავატარე გარემოები სახის აზომებით და მოკვლევითი სამუშაოები, რის შედეგადაც დადგინდა. რომ დემონტაჟი უნდა განხორციელდეს სკოლის (მიწის ნაკვეთის) 6949 კვ.მ. ტერიტორიაზე არსებული შენობა-ნაგებობის და განისაზღვროს საორიენტაციო ამოღებული მეორადი მასალების შესაძლო საერთო საორიენტაციო ღირებულება. დადგინდა ისიც, რომ დემონტაჟია განსახორციელებული თვით სკოლის მოლინი შენობის, მის მიმღებარედ არსებული საქანა შენობის, სკოლის ტერიტორიის შემომფარგლებული დობის, სპორტული მოედნის და სხვა.

ამისადები მეორადი მასალების დირექტულებების განსაზღვრისას აუცილებელია აღინიშნოს, რომ ამოღებული საშენი მასალის მოცულობის ოდენობის ზუსტად განსაზღვრა შეუძლებელია და ასევე საორიენტაციო უნდა იქნეს განსაზღვრული მასალის ერთეულის დირექტულება, ვინაიდნ მეორადი მასალის სარგალიზაციო ფასი დამოკიდებულია მრავალ ფაქტორზე (მის მდგრადი რეიტინგი, მოთხოვნაზე, მოცულობაზე, გამოყენების სფეროზე და სხვა).

შენიშვნავ იმასაც, რომ სკოლის ტერიტორიაზე კველაზე დიდი მოცულობის მეორადი მასალა ამოღებული იქნება ამით სკოლის შენობის დემონტაჟის შედეგად, რომელიც თავის მხრივ წარმატებების როჩსართულიან გაპიტალურ ნაგებობას განაშნიანების ფართით 1250 კუ.მ. (დაუზუსტებლად) და მას აქვს ასევე სარდაფის ტიპის



ფართი. საჯარო რეგისტრის ამონაწერის (განცხადების რეგისტრაციის №882010921169, 10.12.2010 წ.) შესაბამისად სკოლის შენობის საერთო ფართია 4905.10 კვ.მ. (მათ შორის სარდაფის ფართია 970.95 კვ.მ. და სართულების ფართობებია: პირველის – 976.5 კვ.მ., მეორის – 983.6 კვ.მ., მესამის – 984.7 კვ.მ. და მეოთხის – 989 კვ.მ.). სკოლის შენობას აქვს ხის დახრილ კონსტრუქციას მოწყობილი სახურავი, რომელიც დაფარულია უქანგავი ფურცლოვანი თუნექით. ასევე დაღინდა ისიც, რომ შენობის მე-4 სართულის ჭერის ნაწილი წარმოადგენს რეინა-ბეტონის ფილებს, ხოლო ნაწილზე ძველი სტილის სახურავია, პერძოდ კი ფიცერებია და ქვემოდან ეწ. „ბალდადეკა“. სკოლის შენობას გარე პერძებერზე ჩამტელია აქვს შეტალოპლასტიკას ფანჯრები. ასენანიშნავია ის ფაქტიც, რომ ამ სკოლის შენობის შიგა ფართში გათვალისწინებული იქნ სარემონტო სამუშაოების ჩატარება და ფაქტიურად დაიწევ კიდევაც გარკვეული მოსამაშადებელი სამუშაოების წარმოება, მაგრამ აღმოჩნდა, რომ სართულებში გადახურვები, რომლებიც დრუბანიანი რეინა-ბეტონის ფილებია, ამორტიზირებულია და შენობის ამორტიზაციის დონის გათვალისწინებით გადაწყდა მისი დემონტაჟი.

შენობის დემონტაჟის შედეგად მისგან ამოღებული მეორადი მოხმარების საშენი მასალების სახეობის და მოცულობების დაღვნის მიხნით მოვახდინე მისი (შესაძლებლობის ფარგლებში) დაწყობილებით დათვალიერება, რის შედეგადაც დაღვინდა, რომ სკოლის სარდაფის კედლები მირთადად ამოქვანილია სხმული ბეტონით და მისი დაშლის შედეგად მისგან შესაძლებელია ამოღებული იქნას მხოლოდ მასში ჩაყოლებული ლითონის (არმატურის) კლემენტები. თუ გავთვალისწინებთ იმ გარემოებასაც, რომ პრაქტიკულად ასეთი სახის (სამუშაოს გაწევის შედეგად) ამოღებული ლითონის (რომელიც მირთადად შავი ლითონის ჯართს წარმოადგენს) ლირებულება მცირეა და კერ ფარავს გასაწვეო ხარჯის ლირებულებას, ვთვლი, რომ ამ სამუშაოს შესრულება რაეფექტურია და უნდა ჩაითვალოს, რომ მისგან ამოღებული მასალის ლირებულება გაუზოდდეს ნულს, რადგან ამოღებაზე გაწევდი ხარჯის თვენობა სავარაუდო გადაჰარბებს მისგან ამოღებული მასალის საერთო სარეალიზაციო დირექტულებას.

სკოლის დემონტაჟის შედეგად შესაძლებელია ამოღებული იქნეს ასევე სართულებსშე გადახურვის რეინა-ბეტონის ფილები, რომლებიც სხვადასხვა ზომებისაა და ვინაიდნ მათი განცალკევება ზომების მისადგომი ამ ეტაპზე შეუძლებელია, მიზანშეწინილად მიმაჩნია ფილების საორიენტაციო დირექტულება განსაზღვრული იქნას მათი ერთეულის (1 კვ.მ.-ის) დირექტულების დადგენის საფუძველზე.

სკოლის შენობის დემონტაჟის შედეგად ამოღებული იქნება ასევე მეტადოპლასტმასის ფანჯრები, რომელთა საერთო ფართის გაანგარიშებისთვის მოვახდინე მათი რაოდენობის განსაზღვრა (ზომების შესაბამისად) და საერთო ფართის დაღვენა, ამის შედეგად გავსაზღვრე რა მისი 1 კვ.მ.-ის შესაძლო სარეალიზაციო ლირებულება დავაღინე მათი რეალიზაციის შედეგად მისაღები თანხა საორიენტაციოდ. რაც შეეხება სკოლის შენობაში არსებულ კარებებს, მათგან სამი ერთეულია მხოლოდ მეტადოპლასტმასი; ხოლო დანარჩენისგან თრთ ერთეულია ლითონის კარი და დანარჩენი კი ხის ამორტიზირებული კარებებია. რომელიმა რეალიზაცია როგორც კარი შეუძლებელია (მათი მდგომარეობისა და სახის გამო და შესაძლებელი იქნება მისი

როგორც შეშის რეალიზაცია სხვა ანალოგიურად ამორტიზირებულ ხის მასალასთან ერთად).

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ სკოლის საქადასო თახებში ძირითადად იყო პარკეტის იატაკი და დღეისთვის იმდენადაა ამორტიზირებული პარკეტი და გამოუსადეგარი შემდგომი მოხმარებისთვის, რომ მისი შემსყიდველი პრაქტიკულად თოთქმის გამორიცხულია და ძლიერ შემცირებულია მის მიმსმარებელთა წრე, ამიტომ მის 1 კვ.მ.-ს მიუსადაგებ მინიმალურ ღირებულებას როგორც შეშისას და საერთო მოცულობის დადგენაც მოხდება გარკვეული მიახლოებით, რადგან მისი ზუსტი მოცულობის განსაზღვრაც სიმკერდებმთანა დაკავშირებული.

შემოწმებით დადგინდა ისიც, რომ სკოლის შენობა (სარდაფის გარდა) ძირითადად ნაშენებია ოეთრი და წითელი აგურის კომბინაციით და კედლის სისქე 1.5 აგურის ტოლია. კედლების დაშლის შედეგად ამოხადები აგურის ოდენობის განხაზღვრისას უპირველეს ყოვლისა მოვახდინებ აგურით ამოშენებულია კედლის ფართის ოდენობის (დაუზუსტებლად) განსაზღვრა და ამის შემდეგ გაგოთვალისწინე ის გარემოებაც, რომ პრაქტიკაში ანალოგიური შენობების დემონტაჟის შედეგად ხდება საორიგნტაციო 30-35% საშენი მასალის ამოღება, ხოლო დანარჩენი ნატეხებისა და ნაგვის სახით იქნება გასატანი. გავსაზღვრე რა სავარაუდო ამოხადები აგურის მოცულეობა (რაოდენობა) და დამატებით ამოხადები დაგადგინებ მისი ერთულის (1 ცალის) შესაძლო სარეალიზაციო დირექტორის ადგილზე გასაშეალებულად (თეორ და წითელ აგურზე) და დაგადგინე კედლების დაშლის შედეგად ამოღებული აგურის რაოდენობაც და შესაბამისი საორიგნტაციო დირექტორებაც.

აღნიშვნის დირსია ის ფაქტიც, რომ სკოლის მე-4 სართულზე განთვალისწინებულია ორი მაღალჰერიანი ფართი, რომელთაგან ერთი \*170 კვ.მ.-მდე ფართით (დაუზუსტებლად) სპორტულ დარბაზს წარმოადგენს და მისი იატაკი სპეციალური ვიწრო ფორმის ფიცარია, ხოლო ჭერი ფასადის მოსაპირკეთებდად გამოსაყენებული თხელი სტანდარტული ფიცარია, რომელიც ასევე შესაძლოა ცალკე იქნეს რეალიზებული.

ასევე რეალიზაციას დაექმენდებარება გათბობის სისტემის ელემენტები, კერძოდ კი გათბობის ქვები და ბატარეიები. უნდა აღინიშნოს, რომ თითქმის კველი როგორც საკლასო თახებში, ასევე დერეზანში თუ დარბაზში) დაუწენებული იყო თითო გათბობის ბატარეია და მათი ერთეულისთვის შესაბამისად მისადაგებული იქნა ანალოგიური მეორადი მოხმარების ბატარეიების ღირებულება. აქვე ისიც უნდა ადინიშნოს, რომ შესაძლებელია რეალიზაცია გათბობის ქვაბიდან ცხელი წელის მომწოდებელი და საქაბეში შემავალი დათონის მიღების (დიამეტრებით 80 მმ და 100 მმ), რომელთა საერთო სიგრძე დაუზუსტებლად შეადგენს 300 გრძ.მ.-ს.

ასევე გაგოთვალისწინე სკოლის სახურავის მასალის სახეობა და მოცულობა; გამომდინარე იქიდას, რომ სკოლის განსენიანების ფართია 1250 მ<sup>2</sup> (დაუზუსტებლად) და ის მთლიანად დახურულია დახრილი ზედამორის მქონე სახურავით, უნდა ჩაითვალოს, რომ უკანგავი ფურცლდანი აუქსტორ დახურული ფართის ოდენობა დაუზუსტებლად იქნება 1350 კვ.მ.-მდე ჭრ. ამ ფართიდან დაზიანებულების %-ის



გამოკლების შედეგად დარჩენილი ფურცლოვანი თენიუქის მეორადი სახურავი იქნება სარეალიზაციო.

სკოლის შენობის აქვს სახურავზე ბუნებრივი ნაღუქის წერტილი შემკრები ასევე უქანგავი თუნიქის მიღები მთელ სიმაღლეზე და მისი რაოდენობაა 25 (ოცდახუთი) ერთეული. თითოეულის სიმაღლე კი 13-14 მ-ია ე.ი. ამ წალშემცრები მიღების საერთო სიგრძე შეადგენს 340 გრძ.მ-მდგ. ეს მიღები ცალკეული 1-1.5 სიგრძის მიღების შევრთების შედეგადაც მიღებული და შესაძლებელია მათი 1 გრძ.მ.-ის დირექტელების განხაზღვრაც.

სკოლის შენობის სახურავზე ძირითადად გამოყენებულია ხის კლემუნტები მრგვალი მასალა (მორების სახით), ე.წ. ხის კოჭები და ფიცარი (რომელზეც დამაგრებულია სახურავის თუნიქი). შემოწმებისას დაგინიდა, რომ სახურავის ხის მასალა არის გამოსაყენებელ მდგრადერებაში და შესაძლებელია მისი რეალიზაციაც (დემონტაჟის შედეგად), თუმცა მისი ზოგიერთი ნაწილი (მცირე ზომის კლემუნტები - საყრდენები) შესაძლოა როგორც მასალა რეალიზებული არ იქნეს. სახურავის კროკები გრძივ მ-ზე გამოყენებული სხვადასხვა სახის მასალის სახეობისა და მოცულობის განხაზღვრის შედეგად დადგინდა, რომ სახურავის ხის კონსტრუქციის მოსაწყობად 1 გრძ.მ.-ზე საშუალოდ გამოყენებულია 1.1 მ-მდე ხის მასალა. სკოლის შენობის საერთო სიგრძის განხაზღვრის შემდეგ გამოთვლილი იქნა სახურავის ხის კონსტრუქციის დემონტაჟის შედეგად ამოღებული ხის მასალის საერთო მოცულობა და სარეალიზაციო დირექტელება საგარაულოდ.

სკოლის დერეფანში პირველ სართულზე თითქმის მთლიანად მე-2, მე-3 და მე-4 სართულებზე ნაწილობრივ არის კერამიკული ფილები, რომელთა დემონტაჟის შედეგადაც შესაძლებელია ამოღებული იქნებ ისინი სავარაუდო 30-35%-ის ფარგლებში (საერთო ფართიდან), თანაც შესაძლებელია ზოგიერთს სყვას მის ქვეშ არსებული ბეტონის ნაწილი და მისი მოშორებისას შესაძლოა ფილის დაზიანება (გარეხვა).

აღსანიშვნავია ისიც, რომ სკოლის ორივე მხარეს სართულის ფართებთან დასაკვშირებლად არის ძეგლის განვირი კაბები თავისივე ლითონის მოაჯირებით და სართულებს შორის კიბების რაოდენობა შეადგენს 28 ერთეულს, რომლებიც ასევე შესაძლოა რეალიზებული იქნეს, მაგრამ გათვალისწინებულ უნდა იქნეს მასზე მოთხოვნა, კინაიდან ინდივიდუალური პირები ასევი სიგანის (2 მ-ზე მეტია) კიბების იშვიათად იყენებენ და სხვა სახის შენობებშიც მათი გამოყენება შეზღუდულია, თანაც ზოგიერთი კიბის საფეხური ნაწილობრივ დაზიანებულია, ამიტომ ვთვლი, რომ მათი 40% შეიძლება ამოღებული იქნეს სასაქონლო სახის მქონე და მოხდება მათი რეალიზაცია.

გარდა სკოლის შენობის დემონტაჟის შედეგად ამოსაღები მასალებისა, სკოლის ტერიტორიაზევე ტერიტორიის შემომცარგვლები ლობები, რომდის ნაწილი სხმული ბეტონია და ნაწილი ლითონის კუთხვანებში ჩასმული მავთულბადეა, რომლებიც ვერტიკალურად დაჭრილია ბეტონში ჩასმული ლითონის მიღებით. აღნიშნავ იმასაც, რომ კუთხვანებში ჩასმული მავთულბადის ზომებიც სხვადასხვა (ორჩაირია) და შესაბამისად იქნა განხაზღვრული მათი შესაძლო ლიტებულებები. რაც შეეხება სხმული ბეტონის ლობებს (კედელს), მისი დემონტაჟის შედეგად მისგან ნარჩენების გარდა რამე გამოსაყენებელი სარეალიზაციო მასალი არ ამოვა და იმასაც ვთვალისწინებ, რომ ამ

